

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ნიჩბისი, ქსანი, ერედა) საბავშვო ბაღებისათვის  
ჭურჭლის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

(სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური მოთხოვნები, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები
3. სხვა მოთხოვნები
4. დამატებითი ინფორმაცია
5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მომაცემები
6. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი
7. დანართი 1. რეკვიზიტები
8. დანართი N2 ფასების ცხრილი

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პროირიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

## 2. ტექნიკური მოთხოვნები

შესყიდვის ობიექტის დასახელება :

#	დასახელება კოდი 392	რაოდენობა	ტექნიკური მახასიათებლები
1	ღრმა თევში	150	წვნიანისთვის, მოცულობა: არანაკლებ 490- 500 გრ
2	კონტეინერი 50 ლიტრიანი	1	პლასტმასის, სახურავით, არანაკლებ 50 ლიტრის ტევადობის, საკვებისთვის
3	კონტეინერი 30 ლიტრიანი	2	პლასტმასის, სახურავით, არანაკლებ 30 ლიტრის ტევადობის, საკვებისთვის
4	კონტეინერი 60 ლიტრიანი	1	პლასტმასის, სახურავით, არანაკლებ 60 ლიტრის ტევადობის, საკვებისთვის
5	კონტეინერი 10 ლიტრიანი	1	პლასტმასის, სახურავით, არანაკლებ 10 ლიტრის ტევადობის, საკვებისთვის
6	თასი პლასტმასის 20 ლიტრიანი	1	პლასტმასის დიდი, არანაკლებ 20 ლიტრის მოცულობის, საკვებისთვის
7	თასი პლასტმასის 40 ლიტრიანი	2	პლასტმასის დიდი, არანაკლებ 40 ლიტრის მოცულობის, საკვებისთვის
8	წყლის დოქი	2	შუშის, პლასტმასის თავსახურის, არანაკლებ 1.5 ლიტრის ტევადობის
9	თასი პლასტმასის 10 ლიტრიანი	2	პლასტმასის არანაკლებ 10 ლიტრის მოცულობის, საკვებისთვის
10	ჭიქა ლამბაქით	150	ჩაისთვის გათვალისწინებული, თეთრის ფერის, სასურველია გაფორმებული საბავშვო ნახატებით, ჭიქის მოცულობა არანაკლებ 220-230 გრ.
11	კოვზი სადილის	150	უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, (სადილისთვის გათვალისწინებული)
12	ჩანგალი	150	უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო
13	თასი 6-8 ლიტრიანი	2	პლასტმასის დიდი, არანაკლებ 6-8 ლიტრის მოცულობის, საკვებისთვის
14	თასი 5-6 ლიტრიანი	2	მინანაქრის, არანაკლებ 5-6 ლიტრიანი, ჯამი
15	კოვზი დიდი	5	დიდი, უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, ზომები: არანაკლებ სიგრძე-40-60სმ
16	კოვზი ჩაის	150	პატარა, ჩაისთვის გათვალისწინებული, უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო
17	ჩამჭა	4	უჟანგავი ფოლადის, არანაკლებ 500 მლ/გრ

			ტევადობის
18	ქაფქირი	2	უჟანგავი ფოლადის, პირის დიამეტრი არანაკლებ 15-18 სმ. ხელის სიგრძე 30-35სმ.
19	დანების კომპლექტი	2	კომპლექტში შედის 5 ცალი დანა,(1 ხერხის პირით) უჟანგავი ფოლადის, პლასტმასის ხელსაკიდით, არანაკლებ 25 სმ.
20	სათლი პლასტამსის 10ლიტრიანი	10	პლასტმასის, თავსახური პლასტმასის, არანაკლებ10 ლიტრის მოცულობით, განკუთვნილი სურსათვის
21	სათლი პლასტამსის 15ლიტრიანი	2	პლასტმასის, თავსახური პლასტმასის, არანაკლებ15 ლიტრის მოცულობით, განკუთვნილი სურსათვის
22	ჩაიდანი	4	არანაკლებ 6-8 ლიტრიანი, მომინანქრებული,
23	თეფში	150	პატარა, ფაიფურის, თეთრის ფერის, საურველია გაფორმებული საბავშვო ნახატებით, მოცულობა არანაკლებ200 გრ.
24	თეფშების კომპლექტი 3 ცალიანი (დიდი, საშუალო და პატარა)	450	პატარა, საშუალო და დიდი , ფაიფურის, თეთრის ფერის, საურველია გაფორმებული საბავშვო ნახატებით, მოცულობა არანაკლებ200 გრ,300გრ, 500გრ
25	ტოლჩა	5	წყლის ამოსაღები, პლასტმასის, მოცულობა; არანაკლებ 1.5 ლიტრის
26	ლანგარი	7	პლასტმასის, ფერადი, არანაკლებ ზომა 30*50 სმ
27	ჩამჩა 200მლ	5	პატარა, უჟანგავი ფოლადის, არანაკლებ200 მლ/გრ ტევადობის
28	საცერი	2	ფქვილის გასაცრელი, სტანდარტული
29	საწური	2	800-1000 მლ/გრ გრძელი ტარით, ნასვრეტებიანი, მასალა უჟანგავი ფოლადი
30	ჭურჭლის საწრეტი	7	არანაკლებ 30 ადგილიანი, უჟანგავი ფოლადის
31	გადასატრიალებელი	1	სტანდარტული, ორი ბრტყელი პირით, უჟანგავი ფოლადი,
32	ბოსტნეულის სათლელი	1	სტანდარტული უჟანგავი ლითონი
33	საჭრელი დაფა	4	ბოსტნეულის საჭრელი დაფა, პლასტმასის ზომა არანაკლებ 30*40 სმ
34	სახეხი	2	ბოსტნეულის სახეხი მოწყობილობა, უჟანგავი ფოლადის, სტანდარტული
35	კარტოფილის საჭყლეტი	1	უჟანგავი მასალის, სტანდარტული
36	უნიტაზის ჯაგრისი	5	ჩასადებით, ერთი თავით
37	აქანდაზი	6	გრძელტარიანი, სტანდარტული
38	იატაკის ჯოხი	4	მასალა ხის, სტანდარტული
39	სანაგვე ურნა	3	ფეხის გაღების მექანიზმით, ორმაგი, თავსახურით
40	ოთახის ურნა	12	სანაგვე ურნა, თავსახურით

**შენიშვნა:** მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 წელს.

### **3.1 სხვა მოთხოვნები**

**3.1.1** საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღე.

### **3.2 სატენდერო წინადადების ფასი**

**3.2.1** სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**3.2.2** სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

### **3.3 ანგარიშსწორების პირობები**

**3.3.1** ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

**3.3.2** ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**3.3.3** წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

## **4. დამატებითი ინფორმაცია**

**4.1** პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

**4.2** სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია მიიღოს სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი საკონტაქტო პირისგან: სოფიო მამისაშვილი ტელ: 2512696

## **5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მომაცემები**

**5.1** კომპანიის რეკვიზიტები (საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი);

**5.2** ფასების ცხრილი დანართი N2-ის შესაბამისად.

. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მოსაწოდებელი საქონლის მონაცემები, რაც ითვალისწინებს მწარმოებელი ქვეყნის/კომპანიის, მოდელის(არსებობის შემთხვევაში), ერთეულის ღირებულების, რაოდენობის და სპეციფიკაციის მითითებას.

თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ინვოისით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის,, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე- 11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

ზემოხსენებული დოკუმენტების წარმოდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას;

ტენდერში მონაწილე პრეტენდენმა შემსყიდველის მოთხოვნიდან 02 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს ნიმუშის სახით შემოთავაზებული საქონლის 1 ცალი ეგზემპლარი შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

## 6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო— ————— 20--წ.

ერთის მხრივ

მცხეთის მუნიციპალიტეტი —————

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ ————— შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

————— შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობების შესყიდვა CPV 30200000, შემდეგ თანხაზე:

---

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებს.

### **3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების შესრულების პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ან/და მათი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზის მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 მიმწოდებელმა მომსახურების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს შესრულებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

3.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

### **4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1 საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

4.2 მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 წელს.

### **5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად საქონლის მიწოდების შემდეგ მიმწოდებლის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ.

### **6. ანგარიშსწორება**

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება „მიმწოდებლის“ მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ.

### **7. ფასები**

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.



7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### **8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### **9. უფლებების გადაცემა**

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

### **10. სუბკონტრაქტორები**

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინააღმდეგარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

### **11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

12.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## **13. ფორს-მაჟორი**

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **14. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## **15. გამოყენებული სამართალი**

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## **16. ხელშეკრულების ენა**

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## **17. შეტყობინება**

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## **18. გადასახადები და დაბეგვრა**

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## **19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა არანაკლებ ერთი თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების ვადას.

## **20. სხვა პირობები**

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**შემსყიდველი:**

**მიმწოდებელი:**

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

დანართი №2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

საქონელი	ტექნიკური მახასიათებლები	სპეციფიკაცია	მწარმოებელი ქვეყანა/კომპანია, მოდელი	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	საერ. ფასი	მიწოდების ადგილი	შენიშვნა
ღრმა თევზი	იხ. ტექნიკური პირობები			150			ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7. მუნიციპალიტეტის შენობა	
კონტეინერი 50ლიტრიანი	იხ. ტექნიკური პირობები			1				
კონტეინერი 30ლიტრიანი	იხ. ტექნიკური პირობები			2				
კონტეინერი 60ლიტრიანი	იხ. ტექნიკური პირობები			1				
კონტეინერი 10ლიტრიანი	იხ. ტექნიკური პირობები			1				
თასი პლასტმასის 20ლიტრიანი	იხ. ტექნიკური პირობები			1				

თასი პლასტმასის 40ლიტრიანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
წყლის დოქი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
თასი პლასტმასის10ლი ტრიანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
ჭიქა ლამბაქით	იხ. ტექნიკურ ი პირობები			150				
კოვზი სადილის	იხ. ტექნიკურ ი პირობები			150				
ჩანგალი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			150				
თასი 6-8 ლიტრიანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
თასი 5-6 ლიტრიანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
კოვზი დიდი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			5				
კოვზი ჩაის	იხ. ტექნიკურ ი პირობები			150				
ჩამჩა	იხ. ტექნიკურ ი პირობები			4				
ქაფქირი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
დანების კომპლექტი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
სათლი პლასტამსის	იხ. ტექნიკურ			10				

10ლიტრიანი	ი პირობები							
სათლი პლასტამსის 15ლიტრიანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
ჩაიდანი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			4				
თეფში	იხ. ტექნიკურ ი პირობები			150				
თეფშების კომპლექტი 3 ცალიანი(დიდი, საშუალო და პატარა)	იხ. ტექნიკურ ი პირობები			450				
ტოლჩა	იხ. ტექნიკურ ი პირობები			5				
ლანგარი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			7				
ჩამჩა 200მლ	იხ. ტექნიკურ ი პირობები			5				
საცერი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
საწური	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
ჭურჭლის საწრეტი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			7				
გადასატრიალებე ლი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			1				
ბოსტნეულის სათლელი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			1				
საჭრელი დაფა	იხ. ტექნიკურ ი			4				



	პირობები							
სახეები	იხ. ტექნიკურ ი პირობები			2				
კარტოფილის საჭყლეტი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			1				
უნიტაზის ჯაგრისი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			5				
აქანდაზი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			6				
იატაკის ჯოხი	იხ. ტექნიკურ ი პირობები			4				
სანაგვე ურნა	იხ. ტექნიკურ ი პირობები			3				
ოთახის ურნა	იხ. ტექნიკურ ი პირობები			12				

პრეტენდენტის ხელმოწერა -----